საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/1134
28/02/2025

1134-01-2-202502281545

მოქალაქე გიორგი
მის.: ქ.თბილისი, N
ელ-ფოსტა:
ტელ.:571

ბატონო გიორგი,

2025 წლის 26 თებერვლის №01/1347 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს (ამჟამად - სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო) (შემდგომში - სააგენტო) თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის (შემდგომში - პროცედურა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განმცხადებელს უფლება აქვს, სააგენტოს წარუდგინოს პროცედურის დანართი №1-ით დადგენილი ფორმის შესაბამისი განცხადება მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის შესახებ (შემდგომში – განცხადება).

ამასთან, პროცედურის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, სააგენტო ამოწმებს განცხადების ფორმალურ შესაბამისობას კანონის, ამ პროცედურის მე-2 მუხლითა და დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია, რომ პროცედურის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, განცხადება უნდა შეიცავდეს განმცხადებლის სახელს (სახელი, გვარი/დასახელება, პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია. თქვენ მიერ წარმოდგენილ განცხადებაში არ არის მითითებული პირადი ნომერი.

აგრეთვე, პროცედურის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის მიხედვით, განცხადება უნდა შეიცავდეს განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის სახელს, გვარს, ხელმოწერასა და განცხადების წარდგენის თარიღს. თქვენ მიერ წარმოდგენილი განცხადება არ არის სათანადოდ ხელმოწერილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წარმოადგინოთ ხელმოწერილი განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება თქვენი პირადი ნომერი. აქვე გაცნობებთ, რომ სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

პატივისცემით,

ლევან კალანდაძე

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა/ QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE